


# გეორგიანული კომუნისტური პარტია



კულაკი: (ხარ-კამეჩებს):— არა გრცხვენიათ, კოლექტივის ორმა ტრაქტორმა მთელი მინდვრები მოხნეს, თქვენ კი...  
 — საყვედურებს თავი გაანებე, თორემ კი ვიცით გზა კოლექტივისაკენ


# საპარტიო ყუთი

— ანანაგებო! დღეს თქვენ მოისმინეთ მოხსენება ჩვენი დაწესებულების აპარატის წმენდის შესახებ. თქვენ კარგათ იცით, რა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმის წინაშე ვდგევართ. თვითუფლები ჩვენგანი ვალდებულია გამწმენდ კომისიის მუშაობას ხელი შეუწყოს და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს. კომისიას საკმაო მასალები მოეპოვება იმ პირთა შესახებ, რომლებიც ჩვენ დაწესებულებაში შემოპარულან და თავიანთი მოქმედებით სოციალისტურ აღმშენებლობას ხელს უშლიან. ჩვენ უნდა ვამ-

12 ივნისს ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს საჩივართა ყუთი და მოიპარეს მასში არსებული მამხილებელი მასალები. ყოველივე ამის გამო აპარატის გამწმენდ კომისიამ შეუძლებლად სცნო ასეთ პირობებში წმენდის გაგრძელება და დააარსა კომისია დადგენილება ცეკავშირის აპარატის წმენდის დროებით გადადების და ხელახალი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შესახებ.

— მართალია, მართალია!—განმა ხმები...  
— დიას, მართალია,—განაგრძო თავმჯდომარემ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ საშიშროება არ მოგველოდეს. ხომ განსვით, გუშინ თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ საჩივართა ყუთი სავსე ყოფილა მამხილებელი მასალებით, და, აი ბატონებო, ეხლავე უნდა მივიღოთ ზომები ყუთის წინააღმდეგ. საჭიროა ეხლავე დავავლოთ ერთ ჩვენთაგანს, რომელმაც უნდა თავდასხმა მოახდინოს ყუთზე და დაუყოვნებლივ მოგვიტანოს, რაც ყუთში აღმოჩნდება. აქ

რხარში“ იხილებოდა“ შემოხსენებულ დაწესებულების წმენდის კანდიდატებზე მამხილებელი მასალები, რომლებითაც კრების დაშლის შემდეგ „პასუხისმგებელმა თანამშრომელმა“ ბუხარში ცეცხლი გააჩინა.  
მეორე დღეს, მუშათა კლუბში, წმენდისთვის დანიშნულ დროს, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და წმენდის დაწყებას ელოდებოდა. კლუბის სცენაზე გამოჩნდა გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე და განაცხადა:



— კარგი ვქვითი. რომ მოვიპარეთ ეს ყუთი; ხედავთ რას სწერენ ჩვენზე? ყველაფერი გამოაშკარავდებოდა და წმენდაზე... ეხლა კი გადავჩიო!

უღაღათო პროლეტარული გამბედაობით მათი „საქმენი საგმირონი“. ისინი არიან ყოფილი ვაჭრები, თავადები, ძველი მოხელენი, პოლიციელები და „მძანი მათნი“. კომისიას მათ შესახებ დამუშავებული აქვს საკმაო მასალება, მაგრამ თქვენი დახმარება მაინც საჭიროა. ხვალ, მუშათა კლუბში დაიწყება მათი წმენდა და თქვენ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ ამ საქმეში... ამასთანავე, როგორც იცით, გამწმენდ კომისიის ინიციატივით აქვე შემოსასვლელში ჰგდება საჩივართა ყუთი, რომელიც სავსეა მამხილებელი მასალებით. ყუთი გაფხვნილია ხვალ. არ კიდევ დრო არის და მსურველთ შეუძლიათ ყუთის ხაშულებით მასალები მოგვაწოდონ წმენდის კანდიდატებზე.

კი დამშვიდებით განვიხილავთ ჩვენზე მამხილებელი მასალებს, რომლებიც შემდეგ შეიძლება, გამწმენდ კომისიასაც კი გადავსცეთ... და ცინივს კილითა წარმოსთქვა მან, რომლის წინადადება ეროვნად იქნა მიღებული. ცოტა ხნის შემდეგ, ისავე „პასუხისმგებელი“ თანამშრომლის ბინაზე სიცილ-ხა-

— ამხანაგებო,—დაიწყო მან ნაღვლიანი ხმით,—ჩვენზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჩვენი დაწესებულებს აპარატის წმენდა დროებით გადადებულია. კომისიის გააწყვეტილებით დღეიდან ხელახლა იწყება მოსამზადებელი მუშაობა. საჩივართა ყუთი კიდია ჩემს კაბინეტში. კრება დასურულია! მან სცენა დატოვა. ხალხი უცმაყოფილოდ დაიშალა... „პასუხისმგებელი თანამშრომელი“ თავის ამხანაგებით საყვედურს გამო სთქვამდა წმენდის გადადების გამო.



მამ ასე ამხანაგებო, გმზადეთ ხვალისთვის. ჩვენ რკინის ცოცხით უნდა გავწმინდოთ ჩვენი დაწესებულება იმ მავნე ელემენტებისაგან, რომლებიც სორცმეტია საბჭოთა საზოგადოებისა და სოციალისტურ მშენებლობისათვის. გაუმარჯოს, ამხანაგებო, ამ ჩვენს საქმეს. გაუმარჯოს სოციალიზმს!

ასე დაასრულა თავისი გრძობიერი სიტყვა ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების თავმჯდომარემ, რომლის სიტყვა დაიფარა მქუხარე ტაშის ცემით.

იმავე დღეს, სხენებულ დაწესებულების ერთ „პასუხისმგებელ“ თანამშრომლის ბინაზე გაიმართა საიდუმლო კრება, რომლის თავმჯდომარემ ასე მიმართა იქ მყოფთ:

— ბატონებო! დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენზე მასალები გამწმენდ კომისიას ცოტა მოეპოვება, რაც აისხნება, ალბათ იმ გარემოებით, რომ ჩვენს წინააღმდეგ აშკარად ვერაფერს გაუბედია გალაშქრება. ან კი ვინ გაბედავდა, როცა ჩვენ ყველა დაშინებული გვეყავს...

— საკვირველია, ყარაულად დამაყენეს—ყუთი ისევ არ მოიპარონო, მაგრამ რათ უნდათ ყუთი, გამგის კაბინეტში ვერაფერ შემოღის წერილის ჩასაფებბათ.

**სპეციალური ნომერი**  
**ყოფა-სხროკებაზე**  
**გამოცემა მოგვალე კვირის**  
**კონსტანტინე უფალიძე გამომცემალა**  
**იმავე ნომერში**



# თვითკრიტიკა თუ არ მტლიკა

საკრებულო  
საბჭოთა საქართველო

როგორც დაწესებულების დამცე, ჩემს ზე-  
ვით მე არავის აღარ ვგოძობ, მაგრამ დრო  
და დრო მაინც მიხდება ხოლმე ამა თუ იმ  
კრებაზე ან ყრილობაზე მისვლა და, თუ  
გნებავთ, ხანდახან დასწორება კიდევ.

ჰო და ჩემი უსამართლოებაც სწორედ ერთი  
ასეთი კრებისა ანუ ყრილობისაგან იწყება.  
თუმცა რას ვამბობ? ამ კრებაზე მე მო-  
ვისმინე ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგისაგან,  
სხვათა შორის „მაგარი სიტყვაც“ სწორეთ  
ამ ჩემი საყვარელი თვითკრიტიკის შესახებ.  
ორატორი შეეხო საერთოდ თვითკრიტიკას,  
როგორც ეს მიღებული არის ხოლმე, მოახ-  
სენია მისი მნიშვნელობაც და დანიშნულე-  
ბაც, მისი წარმოშობის მოკლე ისტორიას-  
თან ერთად, რაიცა დამტკიცა კიდევ ლე-  
ნინის ნაწილებიდან ციტატის მოყვანით და  
ამხ. სტალინის ერთ-ერთი სიტყვიდან კაი  
მოზრდილი ნაწილის მოშველებით, ხოლო  
ყოველივე ამის შემდეგ გადავიდა „თვით-  
კრიტიკის გავლასა და გავრცეებაზე, რაი-  
ცა დაათავა თავის კრიტიკის მძლავრ აწვევის  
შესახებ ხმის საკმაო აწვევით.

მე და ჩემი ხელქვეითი თანამშრომელი  
თავა მოედევით ერთად და ვლუიარებთ  
ერთმანეთს ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭ-  
დილებებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ თავა, როგორც  
საზოგადოთ ყველა გლახა, ერთობ დიდი  
თავაზიანობით და ჩემთან თავდაპირილო-  
ბით იყო აქამდის ცნობილი და წარმოიდგი-  
ნეთ ჩემი გაოცება თან არა მცირედი აღშ-  
ფოთებაც; თუ გნებავთ, როდესაც გზაში ეს  
ქვეყნის გლახა, ეს ჩემი თავა უცბათ მომი-  
ახლოვდა სწორედ ამ დროს, როცა მე ჩემი  
ოქროს პორტსიგარიდან ახლად შექმნილ  
„სოვეტსი“ პაპიროსს ვიღებდი (ეს ამბავი  
მოხდა ერკოვანის მიერ პაპიროსების კრიზი-

სის ხელოვნურად გამოწვევამდის), ხელზე  
ხელი ყოველად მოუხრებულად დამკრა და  
ღრეკით მითხრა.

— მოტათ ერთი თქვენი პაპიროსი; რო-  
გორია ვნახათო!

მართალია, ღრეკა აქამდისაც მინახავს მე  
თავასი, მაგრამ ეს ღრეკა უკვე არაფრით არ  
ჭკვება იმ ჩვეულებრივს ადრინდელს მის  
ღრეკას. უწინ ის იღრეკებოდა რაღაც შე-  
საბერლისად, რაღაც მგლის წინ დარცხვე-  
ნით მდგომ კრავის უხერხულობაში ჩაჯარ-  
დნილსავით. ახლა კი თითქოს მგლის როლ-  
შია შესული და მე კი უმწეო მატყნად მი-  
ყურებუსა.

მეტრმა, გველვით მიკბინა გულზე, მაგ-  
რამ მხოლოდ „დავისსომე“ და მეტი არაფე-  
რი ვცადრე ვერ ვერობით.

მართალია, დაწესებულებაში მოსულმა  
კანცარმაც კი გამოვუმანე და თავას შესა-  
ნებ ცოტა თადარიგის დაქერა კი მოსთხოვე,  
მაგრამ, ღმერთი, რჯულია ჩემი სახე სიან-  
ჩლისაგან დაღრანჯული, რომ ყოველშემ-  
თხვევაში ახალი საბუჯეტო წლის დადგო-  
მამდის, როცა საზოგადოთ შტატების გადა-  
თვლიერება ხდება ხოლმე, მე თავას შესა-  
ხებ არაფერი კონკრეტული ცუდი გადა-  
წყვეტილება მაინც არ მიმიღია, რომ თითონ  
თავას არ გამოეჩინებია თავისი დასაკლავი  
დაწა.

თანამშრომელითა კრება დაწესებულება-  
ში. საკითხად ჩემი მოხსენება სდგას მუშა-  
ობის რაციონალიზაციის შესახებ. მეც, წა-  
თამამებულმა თვითკრიტიკის საკითხის ფა-  
რთოდ დაყენების ზევით აღნიშნული რე-  
ციდივით, მართლაც რომ ფართოდ გავუ-  
შალე ფერი ჩემს მოხსენებას და მოედევე და  
მოეყვე.

მგონია, აღარაფერი აღარ დამოკვამა გაუ-  
სენებელ - მოუსხენებელი ვფიქრობ, აი,  
გამოვლენ თანამშრომლები და თვითონ  
აღიარებენ თავისივე საქუთარი პირით. „რა-  
ხან ასეა, ჩვენო დიდებულო ერისთავო,  
თვითო ტყავი ჩვენგან კიდევ მიიღეთ  
ძღვნათ და საჩუქრად“...  
და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, გაო-  
ცება კი არა, აღშფოთება, აღშფოთება კი  
არა, თავშეუკავებელი წყრომა და რისხვა  
გულსა, ვერ მხოლოდ გულსა, როცა იჯა-  
ვე თავა; ეს ქვეყნის გლახა, გამოდის და,  
ღკერთო ჩემო, რაბეს არ ანთხევს და არწ-  
ყევს თავისი შეუკავებელი და მყარალი პი-  
რისაგან.

ცხადია, კარგი არის თვითკრიტიკა, სანამ  
მე თვით არ მტლიკა. თვითკრიტიკა მე მი-  
ყერს და ძალიანაც მიყვარს, ამას მე ვამ-  
ტკიცებ თითქმის ყოველ კრებაზე, საცა  
თვითკრიტიკის შესახებ ლაპარაკი არის. ეს  
მე დავამტკიცე ჩვენი დაწესებულების ამ  
უკანასკნელ კრებაზედაც იმითი, რომ მოვი-  
თხოვე თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა.

მაგრამ, როდესაც მეელი თავას სახით,  
წამომადგება ხოლმე თავს თითონ მე, რო-  
გორც უმწეო ბატკანი და თავისი გესლია-  
ნი ენის ტლინკვით მოსიურებს ჩემს შე-  
ტიყვ- შევეცვას და შემოკლებას, როგორც  
თვითკრიტიკის უფბარი გამტარებლისა, ნუ-  
რას უტყარავად, თუ მეც მიკმართო თავას  
საწინააღმდეგო ზომას, ე. ი. თვითკრიტიკის  
არა შევეცვას და შემოკლებას, არამედ, პირ-  
იქით, უფრო ფართოდ გაშლას და გაწევას,  
ე. ი. თავას გაძევებას ჩემი დაწესებულებიდან  
თვით საბუჯეტო წლის დადგომამდის ანუ  
ვკრედ წოდებულ შტატების გადაშინჯვის  
დრომდე.

შაზირა.

## ც რ უ კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ტ ე ბ ი

ვინ არ იცნობს  
ტატე გიგუაშვილს,  
კოლექტივის წინააღმდეგ  
აშოროს.  
ჯერ შევიდა  
დილომის არტელში  
საქონელიც გააერთიანა.

მაგრამ შემდეგ  
ისევ იგდო ხელში  
და ქურდულად  
ხადაც წაიყვანა,  
ქლესა ტატემ  
ესეც არ იკმარა,  
კამეჩები ღამით

დაიპარა  
და მიჰყოლა  
ვილაც კერძო ჩარჩებს,  
რადგან არტელს  
ისევ ჩარჩებს არჩევს.  
არ ჩამორჩა  
შაქრო გრლაურიც,  
წახალისდა  
მისი საქციელით  
და არტელში  
რაც კამეჩი ჰყავდა,  
მისას ბარცა-ყიდვას  
მიჰყო ხელი.  
ეს ეცნობა  
სოფლის მესვეურებს  
და გვეგონა  
აუწევდნენ ყურებს.  
მაგრამ დახეთ:  
მან ვინც რომ არტელს  
დააყენა  
დაშლა-რღვევის გზაზე,  
გაფრთხილების,  
თუ სასჯელის ნაცვლოთ  
ნიშნავენ  
კარგ თანამდებობაზე.  
(მოდი და  
ნუ გაგბერავს სიბრაზე).  
აი ასე ამტკიცებენ  
აქეთ  
ახლად შობილ  
კოლმურნობას;  
ამისათვის მოედლიან  
ჯილოდოს  
და გაიციებთ, ტარტაროზო,  
ძმობას,  
ნუ მოაკლვთ  
შენებურ „წყალობას“,  
რომ სოფელიც  
გითვლიდეს მადლობას.



— უტყარავად, მაგრამ აქ სიმღერა და ღრიანცელი არ შეიძლება,  
— ვითომ რათაო? ეს ზომ ყრუ-მუნჯთა კოლექტივის სახადილოა და  
ვინ რას ვაიგონებს?

„სირკულიარი № 365, სასწრაფოდ“.

საკმაოდ დიდი იყო პაკეტი, რომელშიაც სირკულიარი იყო მოთავსებული.

პაკეტი მიიღო კლუბის გამგეობის პასუხისმგებელმა საქმის მწარმოებელმა, რომელსაც, მართალია, ჯამაგირი არც ისე დიდი აქვს, მაგრამ საქმეც დიდად არ ემატება.

გახსნა და გადაათვალიერა: შიგნაშეებულებო კამპანიაზე იყო ლაპარაკი.

— რა დროსია, ჯერ მისია, მე მხოლოდ ავგისტოში ვაპირებ წასვლას და ისიც ქობულეთში! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან და სირკულიარი მაულის ქვეშ ამოსდვა.

ერთი კვირის შემდეგ კლუბის გამგემ რეგისტრატორ ქალს შევებულეზე ჩამოუგდო ბაასი და გაკვრით აღნიშნა, რომ სასურველია ორივეს ერთდა იმავე დროს წასვლა, ერთდა იმავე ავარაკზე, მაგალითად, სადმე ზღვის პირას.

— მართლა, შევებულეზე გამახსენდა, აქ სირკულიარია მოსული საშვებულებო კამპანიის შესახებ! — მთქნარებით წარმოსთქვა საქმის მწარმოებელმა.

— რა დროს საშვებულებოა, ჯერ სოცშეჯიბრების კამპანია არ დაგვიმთავრებია! — წყენით წარმოსთქვა კლუბის გამგემ და გავიდა.

— შეგვჭამა ამ კამპანიებმა, დღე არ გავა, რომ რომელიმე კამპანიაში არ მოხვდეს!..

— მეც მაგას არ ვამბობ? კამპანია კამპანიას მოსდევს, პირდაპირ არაქათი გამოიშლია! — სთქვა ბუხგალტერმა, რომელიც არსებითად არასოდეს არ იწუხებდა თავს არაერთარ კამპანიისათვის.

— „რა ხალხში ჩავარდი —“ მწარედ ფიქრობდა მაუდს ქვეშ მოქცეული სირკულიარი № 365 — „ნახავთ, მე თუ აქ არ ამომხდება სული ისე, რომ კაცი არ იკითხავს ჩემს ამბავს“.

„მაინც ეს ჩემი პროფკავშირი რატომ არ იწუხებს თავს, რომ ცოცხალი კავშირი დაიჭიროს ამ კლუბთან, ხომ ხედავს სირკულიარებით არაფერი გამოდის, — განავრძობდა საყვედურს სირკულიარი № 365.

ვინ იცის, რამდენი ისაყვედურა სირკულიარმა, სანამ კლუბში მოვიდოდა მუშათა ბრიგადა, დავალებათა შესრულების შესამოწმებლად.

საშვებულებო კამპანიის შესახებ, როცა მოიკითხა ბრიგადამ, კლუბის გამგემ განაცხადა, რომ ასეთი სირკულიარი მას არ მიუღია და, მაშასადამე, კამპანიაც არ ჩაუტარებია.

— „სტყუის, რამდენი ხანია აქა ვარ, მაუდს ქვეშ!“ — ყვიროდა ცირკულიარი



— ვის ეძებთ?  
— კინორეჟისორი ვარ და პოლიციელ ტიპებს დავეძებ.  
— მიბრძანდით აქ ჩვენს სავაჭრო კოლექტივში და ყველანი იქ არიას.

კულიარი № 365, მაგრამ ყველამ იცის, რომ სირკულიარს ლაპარაკი არ შეუძლია, და ამიტომ მისი ხმა რჩებოდა ხმად მლაღადებლისა მაუდის საფარსა შინა.

საუბედუროთ, საქმის მწარმოებელს, რომელსაც უყვარს ზედმეტი ლაპარაკი წამოსცდა, რომ სირკულიარი მოსულია და მაუდის ქვეშ დევს.

ელისა სირკულიარს მზის სინათლეზე გამოხვლია.

„როგორ ცხელა! — გაიფიქრა მან და დაუმატა: „ალბათ შუა ზაფხულია, ასე დახუთული რომ არის პაერი, აწი ჩემი მისია მაინც დამთავრებული, რაღა დროს საშვებულებო კამპანია...“

იქვე მაგიდაზე, ქალაღებში ჩასთვლიმა სიტხით დაქანცულ სირკულიარს და ბურანში მყოფს ყურში ჩაესმა კლუბის გამგის სიტყვები:

— ეს კამპანია გამოგვრჩა... ხომ იცით, ათასნაირი კამპანიებია... ახლა მაინც ვადატვირთული ვართ, „პირით წარმოებისაკენ“-ის კამპანია ას ვატარებთ..

### გაგვლანგველი კოსტა

ბუჰსიეთი (ოზურგეთის მაზრა)

კოლექტივის ხელმძღვანელი აირჩიეს კოსტა; მოყვანილი მეტად კარგი ლამაზი და კობტა.

კოლექტივსა განაგებდა და უტოკდა გული: „დიდი კაცი შევიქნები და მექნება ფული“.

გეგმას მივსცემ კოლმუშაკებს, დარიგებით, რჩევით, მე კი განზე ვისეირნებ ნელა კუდის ქნევით“.

მაგრამ ვხედავთ ჩვენსა კვაჭის ეხუტება თვალი: გაუკეთეს ანგარიში და დაედო ვალი.

მოუტირეს მაგრად ხელი, თან შეყვირეს რისხვით:

— ფული უკან დაგვიბრუნე, თრასია რიცხვით.

იცენეს მგელი „ცხვისა“ ქურქში

ჰკრეს პანტურბი მაგრად, კოსტამ სთხოვა პატიება, არ მიიღეს მაგრამ...



უცხოელი „პროფმუშაკი“: — ჩემი გული შენთვის ტოკავს.

— ფულებს ვცქნაფავ უმად, დასტა დასტა, ჩუმაღ!

# ანკეტა

1. სახელი, გვარი მამის სახელი.
2. მკითხველი თუ თანამშრომელი?
3. რა მოგწონთ ჟურნალში?
4. რა მიღწევა აქვს?
5. რა ნაკლი?
6. ეტყობა თუ არა გაუმჯობესება?
7. რაში ხედავთ გაუმჯობესებას?
8. რომელი განყოფილებები მოგწონთ?
9. რომელი არა?
10. რა განყოფილებებია კიდევ საჭირო?.
11. თქვენი შეხედულება ჟურნალზე საერთოდ.
12. თქვენი სხვადასხვა შენიშვნები.

ანკეტის შევსება ჩვენი თანამშრომლებისათვის საიალდებულოა. მკითხველებს ვსთხოვთ ეს ანკეტა შეავსონ და გადმოეციგზავნონ.

85



ალექსანდრა აგრონომიულ ინსტიტუტის სტუდენტია. ოთხი კურსი უკვე დაასრულა და მარტო - და სახელმწიფო გამოცდები დაარჩა ჩაუბარებელი.

— თქვენ დანიშნული ხართ აგრონომად სოფელ მზიანის საბჭოთა მეურნეობაში. — გამოუცხადეს მას.

— სასიამოვნოა.

— საუცხოვო ადგილია; შავი ზღვის პირად მდებარეობს.

— ვიცი.

— ინებეთ მიმართვა.

და საჭირო მიმართვით ან, უკეთ რომ ვთქვათ, დანიშნვის ბარათით ვაუთორ კოსტოშვიში გამოწყობილი საშა (ასე ეძახდნენ ალექსანდრას ამხანაგები) სოფ. მზიანისაკენ გაემართა.

მოსალამოვებულზე, საშა უკვე ზღვის პირად იდგა.

საღამოს პეისაჟით თვრებოდა.

— რა წარმტაცი სურათია. დავხატავ. შემდეგ კი თემის აღმასკომს და მზიანის საბჭოთა მეურნეობის გამგე აგრონომს გამოვეცხადებ. აქედან მზიანის მამულეზადი ორ კილომეტრზე მეტი არ იქნება. — მოვასწრებ! — გაიფიქრა მან; იქვე სრეშზე მოიფიქნა, განსაზღვრა ჩანთა და ზღვის პეისაჟის ხატვას შეუდგა.

ამ დროს პლაჟზე ორი ევროპიულად ჩაცმული მოქალაქე გამოჩნდა. ორივე მამაკაცი იყვნენ.

— აქ ბანაობა უხერხულია: ზღვის პირზე ვილაც ქალია. სხვაგან წავიდეთ! — მიმართა პირველმა მეორე ამხანაგს.

— ახლოს ვნახო! იქნებ კაცია! — უპასუხა მეორემ.

და საშას მიუახლოვდნენ.

— მამაკაცი ყოფილა! — წამოიძახა კმაყოფილებით ისევ მეორემ და ქალს გაესაუბრა:

— ცივია წყალი ამხანაგო?

— თბილია! — უპასუხა საშამ.

— აბა, გავეხადოთ.

და ორივე შეგობარმა წუთის განმავლობაში საშას წინ ტანსაცმელი გაიხადა და შიშველი სხეულით ზღვის ტალღებში გადაეშვა. მალე ისევ ნაპირზე გამოვიდნენ; საშას გეგრილით პლაჟზე გაიშალენ და ისევ ზღვაში გადაეშვენ. შემდეგ ისევ გამოვიდნენ, საჩქაროთ ჩაიცივეს და გზას გაუდგნენ.

— ცნობისთვის შემოვიარე! მე მზიანის საბჭოთა მეურნეობის ახლად დანიშნული აგრონომი ვარ. — მიმართა საშამ თემკომის მდივანს, რომელიც თუმცა მოსალამოვებული იყო, მაგრამ მაინც თემკომის კანცელარიაში მუშაობდა.

— თქვენი დოკუმენტი?

— ინებეთ!

— შეგეცვალათ! ეს არ არის თქვენი მოწმობა.

— როგორ?!

— ერთი სიტყვით, ეგ არ არის თქვენი მოწმობა.

— როგორ თუ არ არის? წაიკითხეთ!

— წაიკითხეთ და მიტომ გეუბნებით... ნასწავლი კაცი ხართ! სირცხვილია..

— მაინც რა არის მასში ტყუილი?

— მოწმობა სხვისია: ის ვილაც ქალის — ალექსანდრა თუხარელის არის... თქვენ კი?!. ბრძების სკოლა ხომ არ არის?!. როგორ გამოადგება მამაკაცს ქალის მოწმობა?

— ამხანაგო, მე ვარ აგრონომი თუხარელი. განა დიდი ამბავია თუ სახელად ალექსანდრეს ნაცვლად ალექსანდრა დამიწერეს? ალექსანდრე იგულისხმეთ, თუ გინდათ. ერთ ასოშია შეცდომა. თუ საჭიროა, სხვა

დოკუმენტაცია... — ღიმილით და ცბიერობით წარმოსთქვა საშამ და მცირე პაუზის შემდეგ იკითხა:

— სად არის მზიანის საბჭოთა მეურნეობის გამგე აგრონომი?

— აგრონომი ახლა სხვაგან არის წასული საქმეებასათვის, ერთი საათის წინ კი აქ იყო... არაფერია.., შიკრიკს გავატანთ და ის გასწავლის სად სცხოვრობს.

— ვილაც ახალგაზრდა კაცი არის. თქვენს ქმარს კითხულობს. — უთხრა შიკრიკმა ელოს — საბჭოთა მეურნეობის გამგის ქიმერიძის ახალგაზრდა მეუღლეს.

— ჩემი ქმარი სახლში არ არის... ამაღამ შეიძლება არც დაბრუნდეს. ხვალ მოვიდეს. ვინ არის?

— აგრონომი ვარო. აქ უნდა იყოს თქვენს მეუღლესთან დანიშნული.

ელო ჩაფიქრდა.

— სთხოვეთ მოვიდეს! — მიმართა ისევ შიკრიკს და სასტუმრო დარბაზიდან დასაძინებელ ოთახში გავიდა ტანსაცმელის გამოსაცვლელად.

— ელო! — შესძახა საშამ მასპინძელს დანახვისთანავე და ტყვიასავით გაქანებული, ისე სწრაფად ჩაეკონა ელოს ბაგეს, რომ ამ უცნობ „მამაკაცს“ თავზედობით და გამბედაობით განცვიფრებული ელო სახტად დარჩა.

— ელო, გენაცვალე, ვერ მიცანი? საშა ვარ, — საშა თუხარელი. ათი წელი ერთად ვსწავლობდით...

— საშა?!.: საიდან.: — და „დაკარგულ მეგობრის აღმოჩენით განახრებული ელო საშას მოეხვია.

— ერთ ლოგინში დავწვიეთ! ჩემი ქმარი ამაღამ მაინც არ დაბრუნდება! — უთხრა ვახშმის შემდეგ საშას ელომ.

ელოც დაეთანხმა.

დაწოლის წინ. უბრალო შემთხვევით ტანსაცმელი სასტუმრო ოთახში გაიხადა და იმ დასტოვა სკამზე დაკიდებული.

ქიმერიძე, რომელიც მზიანიდან საშასურის საქმეებზე მართლაც იმ დამეს მეზობელ თემში იყო წასული, ღილით ადრე აღმასკომის შიკრიკიდან შეიტყო, რომ მის ოჯახში ვილაც „ახალგაზრდა კაცი“ მივიდა, რომელიც მისმა მეუღლემ სიხარულით მიიღო.

ქიმერიძემ სკამზე მამაკაცის ტანსაცმელი დაინახა. თვალს არ დაუჯერა... ათრთოლდა.: ენა ჩაუფარდა: საწოლ ოთახთან მიიპარა და ღია კარებში ფრთხილად შეიხიდა..:

პოი, საშინელება!

მის ცოლთან ლოგინში ვილაც მამაკაცი სწევს...

— ურცხვო! ცბიერო! მოლაღატე. საზიზღარო დაცემული ქმნილება! — სახე დაღრეჯით და კბილთა შურიანი დაღრჭებით წარმოსთქვა ქიმერიძემ.

ელოს გაეღვიძა. წამსვე იგრძნო ქმრის აღშფოთების მიზეზი.

— ამხანაგია!.. ქალია!.. სხვა არ გეგონოს! — შესძახა ელომ ლოგინიდან!

— როგორ?!. კიდევ მატყუებ? საზიზღარო, ბილწო!

— დაიღრიალა ისევ და ჯიბიდან რეველვერი ამოიღო.

— ქალია!.. არ გაისროლო!.. ამხანაგია!..

— გაჩვენებ, გაჩვენებ! — დაიყვირა ისევ ქიმერიძემ და ოთახში რეველვერის გრილი ვაისმა

— მე ვარ, მე! დამშვიდდით, რას სჩადიხართ? — დაიყვირა ახლად გაღვიძებულმა საშამ და მკრდმოღვლილი, საცკლების ამირა ლოგინიდან წამოვიარა.

ქიმერიძე სახტად დარჩა...

ტყვიამ კი მხოლოდ კედლის ფიცარი გახვრიტა.

მედუსა.



# „პაი ბიჭები“

„სადგურ სვირში დალბა საკრე-  
დიტო ამხანაგობის 4 ვაგონი კარ-  
თოფილი. სვიმონეთის კოპერა-  
ტივმა არ გასცა 200 ფუთი ლობიო,  
რადგან არ იცოდა ფასი.  
გაზეთებიდან.

# მოწაფე და მასწავლებელი



თებერვალია, ცივა.  
გახურებულ ღუმელს გარს უსხე-  
დან სიმონეთის (ჭუთასის ოლქი) კო-  
ოპერაციის მოთავენი და საუბრობენ:

— საცივე გვიშლის ხელს, თორემ  
ციბრუტივით დავტრიალდებოდით,  
ყველა გლეხს მინდორში გავიყვან-  
დით..

— სიმტიცე, ამხანაგებო,—ჯავ-  
რობს ერთი,—რა დროს სიცივეა,  
გავაკეთოთ რამე!..

— გავაკეთოთ, — ეთანხმებიან, —  
გვემა შევადგინოთ!

მოუსხდენ თესვის გეგმას. ათ დღე-  
ში მზად ჰქონდათ. ყველა წვრილმანი  
გაითვალისწინეს..

გავიდა თებერვალი...

— აბა, ესლა კი საქმე.. გავიღეთ  
ხაღხში!

— მორცათ, საწარმოო თათბირე-  
ბის გეგმა, აგრომინიმუმი რომ არა  
გვქონდეს!

— ჰო, მართალია.. უჰ, რა ბიჭები  
ვართ, ყველაფერა ვიცით!

— აბა, მოვინახოთ და დავინბაროთ  
აგრონომი..

აგრონომი სოფელში არ აღმოჩნდა.  
აგრონოს ყოველ მხარეს კაცი. ვერ  
იპოვეს.

გავიდა მარტის ნახევარი.

იმჯგელეს, იფიქრეს ბევრი. იმტე-  
რები თავი. ბევრი ოფლი დაღვარეს.  
როგორც იყო, შეადგინეს საწარმოო  
თათბირების ჩიგმა და აგრომინი-  
მუმიც.

მარტიც გავიდა.

— დავიწყოთ საქმე!

— ჩვენი თანამშრომლებიდან! —  
თანამშრომლებმა ძლივს მოიყარეს  
ერთად თავი.

აპრილის შუა რიცხვებია.

ძლივს.. შეგროვდენ თანამშრომე-  
ლები. ითათბირეს. დღე და ღამე გაა-  
სწორეს. არ მოისვენეს. არც თანამშ-  
რომლები მოასვენეს. თითბირი და-  
ასრულეს.

აპრილიც დასრულდა.

შოვიდენ კოოპერატივში გლეხები.

— სათესლე კართოფილი და ლო-  
ბაო მოგვეცით! — იხვეწებიან გლეხე-  
ბი.

— მოგვეშორდით... რა დროს ლო-  
ბიო და კართოფილია. თესვის მოსამ-  
ზადებელ მუშაობას ვაწარმოებთ! —  
მიხალეს პასუხად.

— ორი თვეა ოთხი ვაგონი კარ-  
თოფილი მოგვიცადა... სადგურ სვირ-  
ში ყრია, გამოიყიდეთ!

**მასწავლებელი:** — რა გინდა, რომ მომღვე? ვაკვეთილი ვერ გაიგე!  
**მოწაფე:** — არა, მასწავლებლო; ერთი პაპიროსი მომაწვევო.

- არ გვცალია!
- ლობიო მაინც მოგვეცით. 200  
ფუთი გაქვთ საწყობში.
- არ შეიძლება, ფასი არ ვიცით.  
ცეკავშირმა არ გვაცნობა.
- ფასი შემდეგ გამოიანგარიშეთ,  
მერე გადაგვანდევინეთ!
- შენ, ძმაო, ვილაც ხარ, გინდა  
უწესობა ჩავადენიო. ვერ მოგართვი.  
ჩვენ სხვა ბიჭები ვართ, შეცდ მათი  
ვერ შეგვიყვან.
- წავიდეთ აღმასკომში. — ეუბნე-  
ბიან ერთმანეთს, — გავაცნოთ გეგმე-  
ბი. დახმარება მოვთხოვოთ!..  
მივიდენ. აღმასკომში არაფინაა.
- სად არიან ამ მუშაობის დროს?  
ეს უმოქმედობს და დაუღვერობაა! —  
უყვირიან დარაჯს.
- მინდორში არიან! — არის დარა-  
ჯის პასუხი.

აღმასკომში ვერც მეორე დღეს,  
ვერც მესამეს, ვერც მეათეს დღეს  
ვერაფინ ნახეს. გავიდა მაისი..  
ივნისის ნახევარიც.  
დაკარგეს მოთმინება. წავადენ მინ-  
დვრად აღმასკომის თავმჯდომარის  
მოსამებნად.

ოთხი ვაგონი კართოფილი სადგურ  
სვირში დაუღვათ, ხოლო შეუფასე-  
ბელი 200 ფუთი ლობიო საწყობში  
უყრიათ. ყოველ დღე ცეკავშირს  
დებამას დებეშაზე უგზავნიან: — გვა-  
ცნობეთ ფასი!

## გლახის ნაამბობი

შრომა (ზესტ. რაიონი)

დაფიქრებული მივდიოდი.  
აღმასკომის ეზოდან ყვირილი შემოემსმას,  
ნაბიჯს ვუმატე.

— რა დღემართათ ნეტაც ასე, რომ ღრია-  
ლობენ?! იქნებ კულაკების ზროვა შემოე-  
სია! — არც კი დამესრულებინა ეს ფიქრი,  
მომაგონდა, რამ ჩვენ თემში კულაკი წაშ-  
ლად არ მოიძებნებდა.

მიუახლოვდით საიდანაც ხმაურობა მესმო-  
და.

— დედას გიტრიებთ ყველას! დაგხერტო,  
გადაგასაზღვრებთ, ვინც კოლექტივში შესვ-  
აზე უარის თქმას გაბედავთ! — აივნიდან გა-  
დმომდგარი თემა-აღმასკომის თავმჯდომარე  
ვალრამ ლებაძე, რაც ღონე გააჩნდა ღრია-  
ლებდა და ხელში ნაგანის რევოლვერს ატო-  
რიალებდა.

მოგროვილი ხალხი სდუმდა,  
ყველა ცანცანებდა.

შინისაგან ყალყზე შემდგარ თმას ქუდე-  
ბი ისე მალე აეწიათ, რომ გავგეცინებოდათ.

გავიხილი მეორე მხარეზე. იმისთანა ჩვენ-  
მა მტერმა დანახა. ორი მილიციონერი, აღ-  
მასკომის თავმჯდომარის ბრძანებით ღარიბ  
გლეხს პანტელიმონ ლაბაძეს და ვარლამ ჩი-  
ხლაძეს უბრალო შეკითხვის გულსათვის  
საკოდავად მათარვედენ სკოლის შენობის  
სარდაფში ჩასაშყვედევით.


ამ ამბის შემდეგ გაიჩინა ორიოდე დღემ.  
სკოლიდან დაბრუნებულმა ჩემმა პატარა გო-  
გონამ ყანაში მოარბინა გაზეთი და წამო-  
კითხა ჩვენი თემა-აღმასკომის თავმჯდომარის  
„გმობობა“.

ყველაფერი მისი „მოღვაწეობა“ კაკლა-  
კალა იყო ჩამოთვლილი.

— აწი მაინც დვეცივენებთ ლაბაძისაგან!  
ფიქრობდი და მიხაროდა.

მაგრამ ამის შემდეგ გაიარა, რამოდენიმე  
კვირებშია და ყურადღება ჯერ კიდევ არა-  
ვის არ მიუქცევია.

ალბი ვიცი, ჩემო ძმაო, ესლა ვის ვესა-  
ყვედურო! ძირუღელი თადა.



### სასადილო-ნისიად „ზავს“, „ზამზავს“ და მისიანს

„ნატანტარის წყალსადენთან არსებული მუშათა სასადილო არ ემსახურება თავის ნამდვილ დანიშნულებას. სასადილოში სისტემატიურად ეწყობა „შეხვედრა-გაცილების“ ქვიფები და უფროსი აღმინისტრატორები ქვიფობენ ნისიად და დანახარჯს წლობით არ ასწორებენ“.

მუშ. იმსის წერილიდან.

სწორედ ახირებული ამბავია თავს გადამხდარი, რომ სასადილო ამ ნატანტარის არ ემსახურება ნამდვილად მუშებს და მათ უყურებს როგორც ბუმბებს, სამაგიეროდ უფროსები და ზეფები, მათი ბიძაშვილ-ნათესავეებით „ილოამდე სცურავენ კარაქში“ და როგორც ნათქვამია ერთ არაკვიში: ხელეჩოსავით სულ თავისკენ ხილიან და მსუქან-მსუქან ნაჭრებს თავისთვის ითვლიან, — აქ ჩვეულება-ჩივი ამბავია შეხვედრა-გაცილება, (მათის კკუთ, ეს არ არის არც დიდი

თუ ვინმე ამოიჩემა, ვისმეს ჩასო კბილია, ეკინკლავება დღე და დამ თუ დედი-მისი შვილია. ვინებას ალარ იკითხავთ? სორტობით იცის ვინება ძველ ხაზინურ კილოზე



პირს წუმბე წაეინება მუქარა ხელობათა აქვს— მზად არის თუ კი ინება ხელს უშლის შრომას ნორმალურს, (მოდი და ნუ გეწყინება). მაგრამ, ერიპა, როდემდის? თავს მეტის მეტად ვავიდა, — „კინწის-კვრით ბაბლიკაშვილი ქარხანა პროლეტარიდან.

### მანსვენაშვილი ძროხის სორტია დავმარხმით უდროოდ მრავალი „სორტია“.

„1 ივნისს ტფილისის სასაკლადან მუშკოპის სასადილოებს გაეგზავნა 1200 კილოგრამი ახალი სორტი, რომელშიც 750 კილოგრამი აღმოჩნდა დამალი. ეს უფარვის სორტი დამარხეს მიწაში“.

ამონაწერი ოქმიდან.

დღეს, როდესაც კრიზისს განიცდის ხორცის ბაზარი, ამ დროს საქმე ხდება მეტად საზარი, ჩვენს სასაკლადოში მეთაური ვინმე მწყაზარი, (სულ ერთია იგი თათარია თუ ხაზარი) დგას და ფიქრობს: რა უყოს იმ დაკლულ ძროხებს, რომელთაც სასადილო მუ-



შებს მოაოხებს. თუ კი ამ ხაზარს გააჩნდება იმდენი შეგნება, რომ ეს სორტი სასადილოს თავის დროზე ექნება. მაგრამ მოხდა დაუჯერებელი ამბავი (პირდაპირ „ტარტაროში“ და სასტამბავი) ვიდრე მთლად არ დააღ პეს ხოცი ფული ბარე ოცი თუ ორმოცი, — მანამდე არ მიაწოჯეს სასადილოს. აქაც საქმე ქნეს სამწუხარო და სასაცილო::: დამპალის ნახევარი უძახეს ქვაბში და „დააპურეს“ იმით

ხალხი, ხოლო ნახევარზე კი ჩაიცვენ თალხი და „განუსვენეს“ ძახილით მიძიე ბალდახინით გაასვენეს სასადილოზე, რომელიც საკმაოდ დაშორებულია სასაკლადოზე.

აქედან დასკვნაა, რომ „ზაკმისოს“, „ტიფმისოს“ და სხვა „მისოს“, რომელიც ასეთ უთაბუჯოლოდ სტენენ გნისას, ტარტაროში ბასრი ჩანგალი უნდა მისოს გვერდში მაგრად და უთხრას:

— ბიძა, ჩვენ ვანხორციელებთ გეგმას და თქვენ რომ მუშაობთ არ ეგუება ეგ მას...

### როცა მღუმარებს რადიო ვის უნდა შეუცხადიო?

„ტვ. ტყავისა და ფესსაცმელის ქარხნის მუშებმა მასიურად შეიძინეს რადიო-მიმღები. ისინი მალე მოიშალა. მუშებმა მრავალჯერ მიმართეს, სადაც საქირო იყო, მაგრამ დღევანდლამდე ვერ ეღირსენ მათ შეკეთებას“.

მუშ. რადიოკორის“ წერილიდან.



მუმიებს ამზადებდენ ეგვიპტელები ძველად, რომელთა შორის გამოუკლებლივ ყველა მღუმარებდა და ამით იყო გასაკვირველი, მაგრამ შემთხვევა არის პირველი, როცა სიმღერისა და ბასისათვის გამოგონილი აპარატი სდუმს და მუმიასავით დავიწყებოდეს ლაპარაკი. ეს კი ფაქტია ნამდვილი, ამაში დარწმუნება არის ადვილი—თუ კი თქვენ ეწვევით ტყავის ქარხანას, სადაც მუშაობს მრავალი მუშა ამხანად, რომელთაც შეიძინეს რადიო-გადამცემი, მაგრამ დარჩენენ ელდანაცემები, რადგან ვერ ეღირსენ მათ ახმაურებას, თანაც დაუშატეთ ამ უცნაურებას ის, რომ მათ არა ერთხელ მიმართეს სადაც ჯერ არს, მაგრამ შეკეთებაზე ყოველთვის ღუ-ულობდენ ვარს და კაცი არ არის მათთვის გულის შემატკივარი. მიტომ ამისი ვართ ჩვენ დღეს მკვიდარი, რომ ტარტაროში თავისებურად „შეუცხადიოს“, ვისაც ევალემა „მუშკოპის“ მუშებს რადიო.



ბრალდება, არც აცილება) და სახლში ბითუმად ზიდავენ კერძებს, (მაშინ, როდესაც მუშა აქ საუზმეს ეძებს) რა თქმა უნდა, ნისიად და პირიანად—ეს ხდება თვიან-კვირიანად და მათზე წლობით კვენისის ნისია. ამრიგად, სასადილო სახელად მუშებისა, მაგრამ სახრავად კი სხვისია. ამიტომ ჩვენ ეფიქრობთ, ვიდრე საქმა არ არის მთლად წამხდარი, ტარტაროში ინახოლოს ნატანტარი და ჩასცხოს ყველას თავისი ჩანგალი, ვინც კია ავყია და ანგალი.

### ბაბლიკაშვილი ილია ჩხუბაშვილი გამოქნილია

„ქუთაისის კოლოფების ქარხანა პროლეტარის“ ჩოთქების სამქროს ხელმძღვანელი ილია ბაბლიკაშვილი გამუდმებით ეჩხუბება მუშებს და ამით ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას“.

მუშ. ჩოთქების წერილიდან.

ჩაინდაა შორის ჩაინდი, ბაბლიკაშვილი ილია, ბიჭია ავი—გოროზი და ჩხუბზე დაგეშილია





# განმახიერებელი

## ზღაპრული სინამდვილე

ერთ ჩინელს თურმე ჯიბეში ასანთი უპოვნეს.

ამისთვის ის დაიჭირეს და გაასამართლეს:

— ალბად ასანთი ჯიბეში იმიტომ ჰქონდა, რომ უნდოდა სასახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინაო, — და მიუსაჯეს ჩამოხრჩობა.

როცა ახრჩობდნენ, თოკი გაწყდა.

ხალხმა იგრილა: — სჩანს უღანაშაულოა, ღმერთი იფარავს, ნუ ახრჩობთ, გაანთავისუფლეთ!

მთაერობამ შეიწყნარა ხალხის მოთხოვნილება და „დამნაშავე“ გაანთავისუფლა ბრალდებისაგან, მაგრამ იქვე, მაშინვე შემდეგი ბრალდება წაუყენეს მსაჯულებმა:

— ვინაიდან ჩამოხრჩობის დროს გაწყდა ბაწარი და მით დამნაშავემ ზარალი მისცა სახელმწიფოს, ამიტომ ის სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ხოლო რომ ხელმეორედ არ გაწყდეს ბაწარი, — დამნაშავეს თავი მოეკვეთოს! — მაუსაჯეს მას.

განაჩენი, რასაკვირველია, სისრულეში მოიყვანეს.

ასეთია ჩინური ძველისძველი ზღაპარი.

მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო. მიუხედავად ამისა ასეთი „ზღაპრები“ დღესაც ხდება ჩინეთში. გათავებულნი გენერლები ისევ განაგრძობენ მშრომელთა ხოცვა-ჟლეტას. მაგრამ ჩინეთის ისტორიაში იწუება ახალი ხანა, როცა ჩინეთის მშრომელი მასები ბარიკადებზე გამოდიან შინაურ და გარეშე მტრების გასაწყვეტად.

## მიხვდა

რუმინეთში ისევ დაბრუნდა რამდენიმე წლის წინედ გაქცეული მეფე კაროლი.

მცხოვრებლები აღაშფოთა ამ ამბავმა, მაგრამ ფაშისტურმა ტერორმა ყველა დააშინა.

ბუქარესტის (რუმინეთის სატახტო ქალაქი) ერთ-ერთ ქუჩაში მუშა ელაპარაკება ამხანაგს:

— გარყენილა... მექრთამე... ჯალათი... ავანტიურისტი...

ლაპარაკი არ ჰქონდა დასრულებულს უცბად მოსახვევიდან გამოვარდა ორი პოლიციელი და ხელი სტაცეს.

— რას მერჩით? რა დამიშავებია? — უკვირდა მუშას პოლიციელების საქციელი.

— ის ჩვენ ვიცით რაც დაგიშავებია. ჩამოგახრჩობთ და შემდეგ დაგხვრიტავთ.

— რისთვის? რატომ?

— იმ სიტყვებისათვის, რომლებსაც ეხლა ეუბნებოდით შენს ამხანაგს... ხომ იცი: ჩვენი მეფის შეურაცხყოფა არავის შერჩება! — ცხარობდნენ პოლიციელები და მუშას ცემით მიათრევდნენ უბანში.

— მეფეზე მე არაფერს არ ვამბობდი. სულ სხვაზე ვლაპარაკობდი! — თავს იმართლებდა მუშა.

— ვიცით ვისხედაც ამბობდი. იმ შენს სიტყვებს სწორედ ჩვენს მეფეზე ამბობდი... ვერ მოგვატყუილებ! — და მუშა კინწის კვრით შეაგდეს საკანში. ამ ამბის შესახებ მეფეს მოახსენეს:

— ერთი მოქალაქე მეორეს ასეთ სიტყვებს ელაპარაკებოდა ქუჩაში: „გარყენილი, მექრთამე, ჯალათი, ავანტიურისტი“...

— მერე-და ხომ დაიჭირეთ ის? — წამოხატა ტანტიდა მეფე და შეეკითხა მათ.

— დიას, დავიჭირეთ!


— დახვრიტეთ. ის ალბად ჩემზე ლაპარაკობდა!

მეფის განკარგულება პოლიციელებმა სისრულეში მოაყვანეს.

სი—ლი.

## თავისი ხელობა

ჩინ-კაი-შიმ 100 მილიონი დოლარი მიითვისა სახელმწიფო ბანკისაგან



— ჩქარა, სანამ გვიან არ არის, თორემ დამეწყვიანს  
— სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!



5-1 დღევანდელი დღე ღირს-  
შესანიშნავი დღე არის, როგორც  
ჩემთვის, ისე ჩემი ნათესავ-მეგობ-  
რებისათვის, იმიტომ მუშაობის  
საკუთროს გამგედ მოვეწყვე.



15-1 დღეს ჩავიბარე კოლპერა-  
ტივი. სიხარულისგან გაბრუნებუ-  
ლი ვარ.



22-1 დღეს გამომიგზავნეს ახა-  
ლი თანამშრომელი. არ მომწონს  
მისი ფიზიონომია, როგორმე უნ-  
და გვაძველო მუშაობიდან, თა-  
რემ ვგრძნობ სიკეთეს არ დამაყ-  
რის.



30-1 გენიალური აზრი მო-  
მივიდა თავში. მოლოარე ქალი (ჩე-  
მი ნათესავია) შემოიტანს განცხა-  
დებას, რომ ახალი თანამშრომელი  
არ აძლევს მას მოსვენებას და

ყოველგვარ შეურაცყოფას აყე-  
ნებს, რადგან ქალი არ თანხმდება  
მის წინადადებაზე.

2-11-მოლოარე ქალი დათანხმ-  
და და შეიტანა განცხადება ჩემს  
მიერ ნაკარნახევი.

5-11 დღეს განიხილავენ განც-  
ხადებას. მოლოარე ქალს ყველა  
მხარს უჭერს, რადგან იციან, რომ  
ნათესავია ჩემი.

15-11 ჩემ ოთახში, რომ შემო-  
ხვიდეთ, გესიამოვნებათ: სავსე და  
უხვია მუშაობის წყალობით.  
ცოლმა ოღეს კიდევ იოხუნჯა: „შე  
ნი მუშაობის განუფილდება აქ  
არისო“.

17-11 დღეს ავიწონე და ამ  
მოკლე ხანში მომბატბია 1 ნახ.  
ფუთი.



19-5 32, რაღაც არა სასიამოვნ-  
ო ლაპარაკს მოვქარი ყური.

19-5 რისობ არ გამართლდეს  
გუშინდელი ყურმოკრული ლაპა-  
რაკი.

20-5 ყურმოკრული ლაპარაკი  
გამართლდა, რევიზია შესტუმრა.  
დავიღუბე.



29-5 გამსახლში ვზვიარ. ნე-  
ტავა ხელში ჩამადებინა „ის“  
თანამშრომელი და სხვა არა მინდა  
რას მისი ბრალია ჩემი გაუბედუ-  
რება.

— ეჰ, რა ვითარათ, ამხანაგებო! ჩემი ამბავი მოკ-  
ლეა, მაგრამ თავიდან ბოლომდე ნამდვილი ტრადედიაა!  
— ასე დაიწყო ტვილისის ტრამვაის ვატმანმა ავთანდილ  
ყურყურტაძემ, რომელიც გამსახლის ეზოში თავმოყრილ  
ტუსალებს თავის ამბავს უამბობდა.

ტუსალები სმენად გადატკეულიყვენ.  
თხუთმეტი წელიწადი ტრამვაის პარკში ვიყავი და-  
რაჯაათ (ნეტა იმ დღეს, ვიჯექი ჩემთვის არხენიანდ); მე-  
თექვსმეტე წელს რაღაც ეშმაკი შემიჯდა და მოვიწინა  
ვატმანობა. ეს აზრი მოსვენებას არ მაძლევდა, თან ცო-  
ლმა გამიჭირა საქმე და ყოველდღე მეგვიღვლილებოდა:  
„გლახა ხარ, შენ სიცოცხლეში „სტოროვათ“ უნდა  
ეგდო, სხვები დიდი ხანია ვატმანები არიანო“.

მოვაჯექი ვაგონს. ვაგონის წაყვანა და გაჩერება  
ზედმიწევნით შევისწავლე. ისე დავაქროლებდი ვაგონს,  
როგორც აორლა ცხენს. ძალიან გაეთამაზი.

ერთ პარასკევ დღეს, ოი, დასწყველოს ეს პარას-  
კევი, მარცხენა ფეხი გადმოვდგი ლოგინიდან და მა-  
შინვე გულში ვიფიქრე დღეს ხეირი არ დამეყრება-მე-  
თქი და მართლაც ასე მოხდა.

მიველი პარკში, ვატმანები და კონდუქტორებმა  
ერთმანეთს ეტობაბებოდენ: „მე ამდენი მანძილი გავი-  
რბინე, მე ამდენი ზედმეტი ჯილოდ მერგებოა“.

გამეცინა და გულში ვიფიქრე— შიკი არ ვყოფილვარ.  
თუ ყველას არ ვაჯობო-მეთქი.

წომცეს ვაგონი.  
მოვაჯექი თუ არა ჩემს მოტორიან ცხენს, არაგის-  
თვის არ მომიხედნია, ხელად გვაქანე. კონდუქტორიც  
დაწავიწყდა და ყვირილით უკან მომდევდა. გავანერე და  
კონდუქტორი ამოვიდა. აფუმი იალქნები პირველ გა-  
საჩერებელზე ნახევარი წუთი შეეჩიერე. ძლივს-ძლიო-  
ბით მეზავრებმა მოასწრეს ამოსვლა. გავქანდი. მოგვესე-  
ნათ პლენსანოვის პროსპექტი მშვენიერი გასაქვენებელი  
აღვილია. მეც, რაც ძალა და ღონე მქონდა მოვუსვი.  
კინო - აპოლოსთან სამი მეზავრი ჩამოდიოდა, ერთმა  
მოასწრო მშველიობიანად ჩამოსვლა, ორი გადავარდა და  
ორივემ ცხვირი გაიტეხა.

ჩემი ცხენი უკვე მიჰქროდა. სასტუმრო ეგროპის  
წინ ვილაღე კაცი ბარბაციით გადდიოდა, ერთი კი დაუ-  
რგვე და დავატაკე, შუაზე გავაბე და გავქანდი მუო-  
დულივით. ყორისის ქუჩაში საზოგადოთ ბევრი ხალხი  
იყრის თავს, მაგრამ შენც არ მომიყვდე, გავჩვრიდი თუ  
არა კონდუქტორმა მაშინვე მომცა ნიშანი და თავპირ-  
ლღეტით გავქენდით. მერე გავიგე, რომ იქ ჩამოსვლის  
შვიდი კაცი ჩამოვარდნილიყო, ზოგს ფეხი მოეტეხა, ზოგს  
თავი მოეტეხა და ზოგს ცხვირი. ყოველ შემთხვევის აფ-  
თავიქთან პანტასავით გადმოვყარე ამსვლელ-ჩამომსე-  
ლელი და გავედი რუსთაველის პროსპექტზე.

ოჰ, რა მშვენიერებაა რუსთაველის პროსპექტი, ნამ-  
დვილი საჯირითო მოედანია. მოვუშვი ჩემი ცხენი.  
რუსთაველის თეატრთან ივტომობილს კაცი გაეტყლიტა  
და ხალხი შემოხვევოდა. გავაბე ხალხი, დავებვრე ავ-  
ტომობილს და მივეუწ-მოვლენე. იქ მგონი ათი კაცი და-  
შავდა. ერთ წუთში თავისუფლების მოედანზე გლეჯა  
მოვადინე. მაგრამ ვაი უბედურებას, ვაგონი ვეღარ შევა-  
ჩერე, გადასტა რუსსებიდან, გაირბინა ხუთი საყენი  
განზე და აღმასკომის წინ გულოლა გადაკოტრილდა.  
მე მოვასწარი გადმობტობა. კონდუქტორმა ორივე ფეხი  
მოიტეხა. გაიტყლიტა ათი კაცი და დაიჭრა ოცი. მე გა-  
ვიტეცი, მინდოდა დავმალულიყავი, მაგრამ დამიჭირეს  
და აქ მიკრეს თავი.

ასე ტყუილ-უბრალოდ ვიტანჯები ჰალალ-შართალი  
კაცი. ეჰ, დროებავ!— ამოიოხრა ავთანდილმა და და-  
ჩუმდა.




— ცოლი: — უშნო ხარ და ჩათლახი... ყველა  
 კმრებს მოაქვთ თავიანთ ცოდვებისათვის ფაბრიკიდან მა  
 ნუფაქტურა, შენ კი, ფუ, არაფერიც არ მოგაქვს!  
 — გენაცვალე, რად გინდა, რომ მოგიტანო —  
 ფვარგისი საქონელია... მე, როგორც ფაბრიკის დერექტო.  
 რმა, ეს ვიცი!



— შეხედე! დამსახურებული არტისტია და ჩვენს  
 კლუბში გამოდის!  
 — ეს იმიტომ, რომ მათ ვავშირშიაც იწყება წმენდა.



— აი, ჩვენი ცხოვრებაც ასეთია: დღეს სვირნობ და  
 ქეიფობ, — ხვალ დაგიქერენ!



— ექიმბაში სახლში არ არის, პატარა ბიჭო!?  
 — არ არის! საავადმყოფოში წავიდა ექიმთან!

## ს ა მ ტ რ ე ღ ი ა

ორშაბათი დღე იყო,  
 და 19 მაისი.  
 სამტრედიას ვესტუმრე,  
 (დავსტოვე ქუთაისი).  
 კუქმა როცა შუადღისას  
 აიტენა ხმაური, —  
 სახადილოს შევედო  
 ჰე 18 შაურით.  
 3 საათის შემდეგ,  
 პირველი მხვდა წამებით.

ახალგაზდა ჩემს გვერდით  
 ჩემებრ განაწამებო,  
 იჯდა წარბ შეკუმშული;  
 გული ჰქონდა ლოდივით;  
 წამს დასჭექა მრისხანეთ,  
 (დაიქანცა ლოდინის).  
 მოსცვიინდენ და მიართვეს  
 ბრძოლით მონაპოვარი,  
 იქით სხვა ეხვეწება,  
 სადილს, ვით მათხოვარი.

საინებში ბუზების  
 ასტყდა ცურვა, სრიალი,  
 მეორეს ვერ ველირსე...  
 (რად მინდა როიალი!)  
 გამოველი დალლილი,  
 დაქანცული, მშოიერი.  
 იყო აი ასეთი  
 გამგის შო და იერო.  
 „შიხლინსკი პომპ“



ცოლი:—უი, მეხი კი დაგაყარე! რაღა აქ ითვრები სახლიდან გასასყიდად ჩამოტანილ ღვინოთ!

# რ ა ღ ი ო

## გედნეირი ღლე

ბორჯომის (საკახრე ქარხანა). რა გამოჩნდა ცაზე მთვარე ნამგლის მსგავსი და ახალი, მთავარბუხსა სვიმონოვსა ჩვენ მოვკარით ცალი თვალი: იჯდა კაცი პატიონად, მუშაობდა კანტორაში!

მუშა მუშას ეკითხება: — ნეტავ არის საქმე რაში, რომ სვიმონოვს ვხედავ აქა, არ წასულა ღღის ტფლისში.

აჲ მოიცდის. აქ კარგია ამ თვეში და იელისში "გ" 128.

## ღავიწყებულნი

მდ. კოდორი (ჩხალთა, აფხაზეთი) გინახავს, ტარტაროზ, მდინარე კოდორი? გვიშველე, საჩქაროდ უფსკერო გოდორი. იცოდე საშენო აქ ბევრი ძღვენია. ვერ ზიდავს უძირო გოდორი შენია).

წყლის მუშებს არა გვაქვს საჭირო სურსათი, და მოსწონს ბრეგვაძეს ასეთი სურათი: „რა გიშავთ, გაუძღვობთ, კუჭი გაქვთ მავარი... რა თქვენი საქმეა ჩაი და შაქარი?!“

კანტორაში თამაშია ნარდისა და ვარტის. (ერთმა მუშამ მთლად წააგო იქ ხელფასი მარტის). ამ თამაშით ერთმანეთი ბევრმა გაატყავა. ყურადღებას არა გვაქცევს ჩვენ მუშკორი ლაბარტყავა. შარ-მუშკანდ.

## გამფლანგველის მოწვევა

დ. ტყიბული. ვენედიქტე ქუმბურდემ, როცა იყო წინედ ნოქრად, ორას თუმანს ჯყო ყლაპი და შესჭამა იგი ოხრად. დასვენეს გამსახლში და.. გამოვიდა, როცა ახლა, დააბრუნეს იქვე ისევ, მუშაობა განაახლა.

— დამაკლდო მაშინ ქამა, მეტი უნდა შემეჭამა. შევასრულებ დანაქლისსო — კიდევ შეესჭამ თუმანს სამასს.

## ჯურაბა.

წ. შ. ვარდოსანიძე ამბერკის ნუ უხარია ტყვილადა, თითქოს გადარჩა და ისევ განაგრძობს ქამას ტკბილადა. ასე რომ ცხოვრობს, ნეტავი, სად აქვს ამდენი ფულეები? ხუთ თუმანად ნეტა, ვინ სჭამა ყოველდღე მოხრაკულები?

ზ.

## ვირთხების დოლი

დ. ღია (ზუგდიდის მავრა). ჩვენს კლუბის დარბაზში დოლი აქვს ვირთხებს. კლუბი აქვთ საყუდრად ადვარში ვირთხებს. გავიდა ზამთარი... აბრილი... მაისი; ზაფხულშიაც არ დგება კლუბისთვის აისი. კარებზე ვეცხა ბოქლომი აბია; თავები ვირთხები შიგ ხტიან, დარბიან.

ღია-ნელი.

# ღ ი ღ ი ნ ი

ჭერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი, გიტარა და საჩიჩელი, კოლექტივში ეწერება გაკრეპილი ჩენი ღვდელი.

ჯეჯილი სულ აბიბინდა მოსავალსაც ბლომად ველი; წიწილები გამაქვს ბაზრათ, მომწონს ტყემლის საწებელი.

აუჩქ-ჯავნარი გაიჩება, შევეკავშირდით ყველა ძმურად; ყველგან დადის ტრაქტორები, ბინას ეძებს მელა, ტურა.

ინისია, სიცხე, მდაგავს, ვისი გინდა არ მაქვს ვალი, „უნდადელმა“ გადარიცხა ბრიგადელათ ჩემი ქალი.

მოკლე კაბით მოკვანწული, დადის ყველგან კობტა მარო; მოსწონს გამგე და გლავუხი აჯარაკათ კი—ბახმარო.

დიფ-ტი-პიტო, დაჰკა, დაჰკა, მოღვრიხე ლომს კისერი, ინდოეთის საზღვრებიდან გარბის ქოსა ინგლისელი. „უჩინ-მაჩინი“.

# მ ო ღ ი, ნ ა ხ ე

## წმენდის შემდეგ

ზოგიერთ ადგილებში საბჭოთა აპარატის წმენდა ბიუროკრატიულად ტარდებოდა, დახურულ კარებში. ვაზეთებიდან.



— სად მივბრძნობარ! ჰეი! შეჩურდი!  
— აპარატის წმენდაზე! ბრალდება უნდა წაუყენო!.. ნიკო ზვიადაძემ ფული გაფლანგა! უფლებას გადააქარბა.  
— რა დროს ბრალდებაა, არ გავიწყებენ. თუ რაიმე ეხება, წმენდის შემდეგ განაცხადი!

## ტრესტი ბუზიჭერია

ფოთის სატყეო ტრესტს უნდა წაეღო შემა, რომელიც ხელშეკრულების თანახმად მონიღულია რიონის სან. მიერ ფოთის სადგურში 500 კუბ. საყ., მაგრამ ტრესტს არ მიაქვს.

„ახ. კომ.“



ტრესტი ომობს, ტრასტი აბრძვის, ტრესტს არა ჰყავს ბადალია ბუზებთან აქვს სოცმეჯიზარი შეშაააფის სად სცალია?

## ნ ო ე ს

კომკავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში ორცხება კომკავშირის რაიკომის ყოფილი აღმსტატი ნოე პავლესძე მანაგაძე. ქალებში დროს ტარება მისთვის საყვარელ ჩვეულებათ არის გადაქცეული, რის გამო მის შემოფენლანგა, ანუ როგორც თვითონ ამბობს „დააკლდა“ კომკავშირის საბაზის მანეთი.



ჯერ ქაბუკი მფლანგველი ხარ, — გაიზრდები, რა იქნები? ბალში დახვალ გოგონებთან, დონჟუანიც „შაიქები“.

## „კარტოენიკი“ წმინდანები

ქუთაისის რაიონის სოფ. ნახშირღელის საეკლესიო საბჭომ ეკლესია გადაქცია ბანქოს სათაბაშო სახლად, სადაც ყოველდღიურად ბანქოს თამაშობდნენ. ბანქოს თამაში ეკლესიაში აღმოაჩინა მილიციამ გლეხების დახმარებით. დანაშაუენი პასუხისმგებში მისცეს. კომ.



ბანქოს შლიან. და ტაძარში „ზეციური“ ისმის ხმები:  
— დაი ვაშ ბანკ, იესო-ჯან!  
— ცხრა მოვიდა, ვბითურდები!  
— მამა ღმერთიც გაბითურდა!  
— თქვენი „ხოლი“ არის მაკო! ბანკს მოდიხარ?  
„კონი“ მაინც დამიტოვე შე ეშმაკო! (მოსხნა მაკო მარიამმა, — გადაეკრა ღიმი ამო)  
— მამა ღმერთის რიგებაა!  
— „კონი“ გვირდა,  
— ფული! ჩამო!

## ფ ო თ ი ს სამკითხველოში



— მეიწი ბოშო აქით! გაიწყყა მიწა!

## ქუთაისის მკლავაძე

ქუთაისის კომკავშირის ერთ-ერთ უჯრედის ყოფილი მდივანი ვასო ზუხუნდიშვილი ყალბადანდობით არის ცნობილი, მითვისა უჯრედის ფული. მას მრავალჯერ მიუყენებია შეურაცყოფა კომკავშირელი ქალებისათვის და ერთხელ კიდევ შეცვალა ერთი მათგანის ძალით გაუბატოურებას „ახ. კომ.“



ალარ უნდა ამას ფიქრი ექსმდივანო ვასო, ქუთაისის მკლავაძე ხარ, ნუგეში და სასო.

## ცილისწამება

ტფილისის აღმასკომის მიერ დაწყებული საბანაო მტკვარზე, რომელიც აღმასკომის დაპირებით შარ .6 ზაფხულში უნდა დამთავრებულიყო, ჯერ კიდევ არ არის დამთავრებულია.

მკითხველის წერილიდან. ცილისწამებაა ამხ. მკითხველის განცხადება, თითქოს საბანაო მტკვარზე შარშან უნდა დამთავრებულიყო, ან წელს უნდა იქნეს დამთავრებული. ჩვენის აზრით მტკვარზე საბანაო არასოდეს არ უნდა დამთავრდეს, და თუ დამთავრდება, ალბად 1099970077001 წელში. ესე იგი, ჩვენ თუ არ მოვესწრებით, ჩვენი შევილის - შევილის - შევილის - შევილის - შევილის - შევილის (და ასე ათასჯერ) — შევილები მაინც მოვესწრებთან; ტანს გააგრილებენ და „ცხოვნებას“ შემოგვითვლიან.

ტფილისის აღმასკომის კეთილ მომწყ. განყ-ბა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დაიკარგა „ხლამბრმსტის“ 1929-30 წლის საწარმოო გეგმა.

ტრესტის ადმინისტრაცია სთხოვს საქართველოს და ამიერ კავკასიის ყველა ნაკადულებს, ჩანჩქერებს, ტბებს, ზღვებს და მდინარეებს, თუ შემოაღნიშნული რომელიმე მათგანმა წაიღო, დაიტოვოს გეგმის ორი მესამედი და უკან დააბრუნოს მხოლოდ ეთი მესამედი, რადგან დანარჩენი ორი მესამედი მაინც საანგარიშო წლის განმავლობაში არ შესრულდება.

პატივისცემით „ხლამბრმსტის“ ადმინისტრაცია.



— როგორ ჩატარდა თქვენს კოოპერატივში წმენდა?  
— წმენდა კოოპერატივში კარგი ხანია ჩავატარე — კოოპერატივი უკვე  
გავსწმინდე საქონლისგან!

ა თ წ ლ ე დ ი (სამბრაქია)

ერთ დღეს ათწლეულის გამგე აღმა-  
სკომში იჯდა. მოისმა ტელეფონის  
წკრიალი. გამგემ ტელეფონის მილი  
ხელში აიღო.

ვინ ხართ ტელეფონთან? ნინა?  
ამელამ სადგურში გამოხვალ და დაგ-  
ხვდები. კი გენაცვალე! — აქ  
გამგემ სიბრაზისაგან ისე მძლავრად  
დაკრა ჯოხი იატაკს, რომ დიდ ჯი-  
ხაიშში მაგიოთაზე ჩამოძინებული აღ-  
მასკომის თავმჯდომარეს გამოედვი-  
და.

მოვიდა სკოლაში, სასწრაფოთ მო-  
იწვია კრება და გამიჯნურებულ მო-  
წაფეებს ორი კვირის „შვებულება“  
მისცა.

ალაპარაკდნ შეყვარებული წყვი-  
ლები. მოხსნეს უკანასკნელი გაცემ-  
თილი და მოიწვიეს სასწრაფო კრე-  
ბა.

მოხსენებით გამოვიდა ალ. კობა-  
ლიძეშვილი.

— ამხანაგებო! დღეს ჩვენი მღვო-  
მარება ფრად სეროიზულია. ვალა-  
პარაკოთ ფაქობი: მე როდესაც პიო-  
ნერთა კოლექტივში თავმჯდომარეთ  
ვიყავი, იცოცხლეთ მე და ხატულიამ  
სახელმწიფო ფულებით დრო ვატა-  
რეთ.

როცა ერთხელ მე და „ის“ სასკო-  
ლო ოთახში ვეალერებოდით ერთმა-

ნეთს, პიონერები ზე მოგვადგენ (სა-  
მეცადინოთ იყვენ მოსული). ჩვენ  
რომ ამისათვის შესაფერი აღვილი  
გვქონოდა, — ეს არ დაგვემართებო-  
და.

ერთ ცოცხალ მავალითს კიდევ მო-  
გიყვანთ; მე როდესაც ხელაიას ქალს  
რევოლუციოთ შიოთარდი ოთახში,  
სანდრიას ხელი არ შეეშალა, მიზანს  
მივალწევდი.

— სანდროს რომ მოწაფეების ხე-  
თასი მანეთი შემოგვჭამა, ვისი ბრა-  
ლია? — „იხუმრა“ მიშამ.

— ეს ჩვენ საკითხებში არ შედის!  
— წამოიძახეს სხვებმა.

დიდი ხნის თათბირის შემდეგ, და-  
ადგინეს — გაუგზავნონ ათწლეულის  
გამგეს შემდეგი ნოტა:

ჩვენი სკოლის თბილი კამპანია  
გამღვევ წინადადებას: მოგვცეთ ერ-  
თი თავისუფალი ოთახი შეყვარებუ-  
ლთა საპაემაროდ.. მოხსნა ზედმეტი  
საგნები (ქიშია, რუსული, გერმანუ-  
ლი, ალკოგარა და სხვა), რომლებსაც  
ჩვენ მაინც არ ვესწრებით. უკეთუ  
ამ მოთხოვნისთვის არ დააკმაყოფი-  
ლებთ, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გა-  
ორკეცებული არევ-დარევა შევიტა-  
ნოთ სკოლაში და შემდეგ რაც მოხ-  
დება თქვენ თავს დააბრალოთ.

ბრაგუნა.

ცხადია, ველარ დავიცე  
„სარტაროზო“ წესები,  
ველარ დავსწერე „საკბილო“,  
ვერც პროზა, ველარც ლექსები,  
მარა რა მექნა, როდესაც  
საქმე მომიწყვეს „ხლართული“...  
თავზე დამესხა მტრის ჯოგი,  
ხსუბში ვიყავი გართული...  
იმათ-კი... მკვდარი ვეგონე,  
უკვე ჩაფლული მიწაში  
და ჯიბრი ჰქონდათ სათრევათ  
ჩემი სახელის წიწვანში...  
ცას „ფშტირი“ მისცენ, სიამით  
განზე მოიგდეს ქულები  
და თავისუფლად დგანდალა  
წამოადირეს კულები!..  
საწყლები!.. როდი იციან,  
რომ აღარ ვკიდები—აღარა,  
ასი წლის მეტის ვიქნები,  
ჯერ კიდევ არ მაქვს ქაღარა!..  
წინადაც ასე ვიყავი,  
ენლაც არა მაქვს ცვლილება;  
ვისაც რა უნდა, იგი სთქვას,  
მე მხოლოდ გამეცინება!..

— ამა შესავლის შემდეგ-კი  
მაქვს, ტარტაროზო, იმითი,  
მომისმენ ამბავს არც თუ დიდს,  
არც მთლად ისეა მცირედი.  
საქმეა მეტათ საცრემლო,  
ფიცი არ უნდა ამასა,  
სოფელს ვინ ჩივა, ყრუდ გდებულს,—  
პატრონი არ ჰყავს დაბასა!..  
ყველგან რომ საქმე კეთდება,  
ხალხი ოფლს იწრეტს შრომაში,  
აქ იღებება დრო მხოლოდ  
თანამშრომლებთან ბრძოლაში...  
„— დათხოვნილი ხარ!“ — „ნეტავ  
რად?“

გაისმის „დავა“ ბაზარში  
და შემდეგ გაიხსაწყვიტათ,  
„საქმე“ გადადის მაზრაში!..  
მართალი თუ გასურს—ასეა!  
(ნამუსათ გეტყვი ყორშია).  
ვირ გამოდგება საქმეში  
თუ კაცი ბაიყუშია!..  
როდესაც „ფშუტ“ თავს მორჩილებს,  
საბრალო მისი ფენები,  
საშიში არის „ხტუნვით“, რომ  
კვლავ არ დაგვიფრთხოს გლებები!..  
(აქ ვინაობას არ ვჩივა,  
არც სახელს მისას ვებნები..)  
და, თუ-კი იტყვის: „მე ვარო“,  
თავშიც უხლია მეხები!..  
ასე ვათავებ ამ წერილს,  
რაც სიგრძით არის ტკაველა-  
ელოდვ მეტრაც—ცოცხალი  
თუ დავრჩი შენი

წავილა.



# მ უ ს რ უ ზ ი

## „მოდნი“ რამე ლექსი-კონი

პ-ზ-3-ს (რკინის გზის ფოთის უბანი) არამც თუ მუშებს, ადმინისტრაციასაც წარმოადგენს არა ლექსი საწარმოო-საფინანსო გეგმის შესახებ და სოც-შეჯიბრი დღესაც არ არის დაწყებული.

„ახ. კომ.“

### პ-ზ-3 ლექსიკონი

— რა არის საწარმოო გეგმა? — საწარმოო გეგმა არის აზრთა ისეთი დაჯგუფება, რომელიც გაეს ბაზილიონის გოდოლოს, და რომლის აშენებაც ისევე ძნელდება, როგორც ბაზილიონის გოდოლის აშენება.

— რა არის სოც-შეჯიბრი? — სოც-




შეჯიბრი არის სხვადასხვა ტექნიკურ ძალთა შეჯიბრება ან დაჯახება. მაგ. ორთქლიმანქანების დაჯახება ერთიმეორესთან სადგურის „ნაპაზმელიარ“ მორიგის მიერ ერთ ლინდაგზე გაშვების გამო; ღვინით სავსე, ყანწების გამოცლა ერთი-მეორეზე „ბეზკაპლის“ ძახილით რესტორანში ქეიფის დროს და სხვა.

## უმავთულო ტელეგრაფით საიქიოში

მუშათა გამოგონებლობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. მუშების მიერ მთელი რამ გამოგონებებს ჰქონია ადგილი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გამოგონებიდან ნ თვე გავიდა, საკითხი დაჯილდოების შესახებ დღემდე გადაჭრის პროცესშია.


„ახ. კომ.“



იმის დასამტკიცებლად, რომ ზემოაღნიშნული ცილისწამებაა, მოგვყავს ამინაწერი ზოამტრესტის აღდენილებიდან:

### დაადგინეს:

„...დაჯილდოებულ იქნეს საფლავსა ამასა ქვეში მღებარე გამოგონებელი შიმშილამე ორი ათასი მანეთით. ჯილდო ვაიგზანოს უმავთულოთ ტელეგრაფით საიქიოში, ან გადაიციხულ იქნეს მიცვალებულთა ფონდში მოსაგონებლად აწ განსვენებულისა „სულის“ მისისა წამებულისა“.




მოქალაქე: — მიშველეთ, მიშველეთ, ვაი დედა... ტყავი, ტყავი...

მგზავრები: — რა მოგივიდა!

— სად იყავი?

— ვინ გაგაძრო ტყავი მეგობარო?

მოქალაქე: — სამტრედიის რკინის გზის სადგურის ბუფეტში... ორი კერი-ძი საქმელი შევქამე და ასე გამოვედი... მიშველეთ, მიშველეთ!.. ტყავი.. ტყავი!..



## გზადღება სპეციალური რკინის გზის ნომერი

# გ მ ღ მ რ ი

ამ—კოს (სამტრედია). სამტრედიის ცენტრალურ სამკითხველოს გაშვის შესახებ გვწერთ: სამკითხველოს გამგე ნუცა საკ—ძე პუდრით და პამადით არის გათხოპნილიო. და თან ულექსავთ:

### სამტრედის სამკითხველოს

თანამშრომლობს კონტა ქალი, როცა ვაუებს დანახავს მათკენ მიაქვს ცალი თვადი.

ყოჩაღ ბიჭო, ამერიკა აღმოგიჩინია რაღა!

საბლას (ვანის ქედი, გურია): მოგვყავს თქვენი ლექსის ერთი ადგილი:

აღმასკომის თავმჯდომარეს არ უმალოს ვანის-ქედი, მომდურავი მრავალი ჰყავს, უხეშია იგი, ყბედი.

დანარჩენი გოდორს ჩახტა— ამნაირი შეხვდა ბედი.

კოპლის. ვასრულებთ თქვენს თხოვნას და მოგვყავს ზოგიერთი ადგილები თქვენი ლექსიდან:

კოლექტივი ბოლოც არ სჭამს.

გამდიდრება გონია;

დღეში აბაზს დაუტოვებს

შაზე აქვთ ოშია.

სამსონმა დაკრა ვასიკის

თავი გაუპო რქიანი; ერთი ბოლოვი შექამა ღირდა თეთრ აბაზიანი.

თქვენ თითონ ხომ არ ხართ ის „ვასიკო რქიანი“; რომელსაც თავი გაუტეხეს? უთუოდ თქვენ უნდა იყოთ, რადგან თქვენი ლექსი მოწმობს, რომ ის გატეხილ თავიდან არის გამოსული.

### მწარმელს. ვილაც მელიქაძის შესახებ გვწერთ:

კალისტრატე მელიქაძე ფარისეველი კაცია, ბოლოც არ სჭამს, ძამია, რეუიმ-ეკონომია.

ამის წაკითხვაზე უნებურათ მოგვაგონდა საუკუნოდ განსვენებულ სოლომონ ზურცილიძის ცნობილი „ფორი-ზი“:

აკოშკაში მტრედი ზის თავი გამოუყოფია, ახლანდელი მოგზაურობა: მებად ძნელია სწორედია.

ისე უკავშირდება ლოლიკურად ერთი-მეორეს კალისტრატეს ფარისეველობა და რეუიმ-ეკონომია, როგორც მტრედის მიერ „აკოშკაში“ თავის გამოყოფა „ახლანდელ მოგზაურობის სიძნელეს“.

გუ—ლის. წერა შეგიძლიათ. სუხტადაა დამუშავებული. მოგვაწოდეთ სხვა მასალები.

16 მთვალეთის  
წინაშე

1991

„მემარცხენე“ ბრეილუორდმა გამოაქვეყნა ყოველად საზიხდარი წერილი, რომელშიაც იგი აბტყევს, რომ ინდოეთში ჩვენ საქმე გვაქვს არა იმპერიალისტურ ყაჩაღობასთან, არამედ ანტიურ ტრაღედისტთან. ორივე გმირი—ინგლისის იმპერიალიზმი და ინდოეთის ხალხი იბრძვის წმინდა უფლებებისათვის: ინდოეთის ხალხი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფვის, მაგრამ ინგლისს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს ხელი თავის ვასულისმგებლობაზე ინდოეთისათვის, რომელიც ინგლისის ჯარების წასვლის შემდეგ უდიდესი შახლა-შემოსლის ასარჩუნად გადაიქცევა.

წერილიდან.



განდი:—ინდოეთის შეარველო, ბატონო რამუეი, ხომ ხედავთ თქვენი ჯარი როგორ აწიოკებს ინდოეთს?!  
მკადონალდი:—ბატონო განდი, ინგლისის მოვალეობა ინდოეთი დაიცავს „ანარქიისაგან“.